მაკა სუსარეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Maka.susareishvili@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.75

თურქული პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკის ზოგიერთი საკითხისათვის

პოსტმოდერნული ეპოქის ჩამოყალიბება ევროპაში სათავეს იღებს XX საუკუნის სამოციანი წლებიდან. მან მოდერნიზმი ჩაანაცვლა და მოდერნისტულ კულტურაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა. თუმცა პოსტმოდერნიზმმა უარყო მოდერნიზმისგან მიღებული ბევრი პრინციპი. თვისება, რომელიც მკაფიოდ განასხვავებს პოსტმოდერნისტულ მწერლობას მოდერნისტულისაგან, არის არა ლტოლვა რადიკალური განახლებისა და ტრადიციების მსხვრევისაკენ, არამედ სწრაფვა ძველისა და გარდასულის აღდგენა-განახლებისაკენ. ზუსტად ასეთი მიმართულებით შემოვიდა და დამკვიდრდა თურქულ ნაციონალურ-კულტურულ არეალში პოსტმოდერნიზმი 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, თუმცა მასზე როგორც კულტურულ-ესთეტიკურ სტილზე აქტიური საუბარი, გაცილებით გვიან, 1990-იან წლებში დაიწყო. მას თავდაპირველად ავანგარდულ ფენომენს ან „უახლეს რომანს უწოდებდნენ“. თურქული პოსტმოდერნიზმის, როგორც მსოფლმხედველობრივი და ლიტერატურული დისკურსის წარმოშობას მრავალი მიზეზი განაპირობებდა. ერთი მხრივ, ეს დაკავშირებულია თურქეთის პოლიტიკურ ეკონომიკურ კრიზისთან, კერძოდ, 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალებასთან, რასაც ლიტერატურის დეპოლიტიზირება მოჰყვა, მეორე მხრივ, გლობალიზაციის პროცესთან, რომელიც თურქეთში ევროპასთან შედარებიც გაცილებით გვიან დაიწყო.

თურქულ პოსტმოდერნიზმს, რომელიც გამოირჩევა თავისი მრავალფეროვანი ტენდენციებით, უჭირავს შუალედური მდგომარეობა დასავლური (ამერიკულ-დასავლეთ ევროპული) და აღმოსავლური (აღმოსავლეთ ევროპულ) პოსტმოდერნიზმის მოდიფიკაციებს შორის. მაგრამ უნდა აღინიშნოს მისი უფრო მეტად აღმოსავლურ (რუსულ, პოლონურ, მაკედონიურ) მოდიფიკაციებთან სიახლოვე, რაც გამოიხატება ტექსტის პოლიტიზირებასა და პესიმიზმში (Репенкова, 2009).

90-იანი წლებიდან პოსტმოდერნისტული პარადიგმა ხდება დომინანტური და მეინსტრიმული თურქულ ლიტერატურაში. პოსტმოდერნიზმი, როგორც კულტურულ-იდეოლოგიური პარადიგმა განუყოფელ კავშირში იმყოფება მოდენრიზმთან. პოსტმოდერნიზმი თურქული ლიტერატურაში მოდერნიზმის შემდგომ პერიოდს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ მოდერნიზმი ფრაგმენტულია თურქულ ლიტერატურაში და მან ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა, მაგრამ საფუძველიანი ნიადაგი მოუმზადა პოსტმოდერნიზმის წარმოშობას. ზოგჯერ მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ნიშნებს აიგივებენ კიდეც ერთმანეთთან. მოდერნიზმი უარყოფს კლასიკური კულტურული მემკვიდრეობის უმთავრეს საფუძვლებს, პოსტმოდერნიზმი კი წარსულს უბრუნდება და კლასიკური ტექსტის ახლებურად წაკითხვის შესაძლებლობას იძლევა დეკონსტრუქციის გზით.

პოსტმოდერნისტული პარადიგმის განვითარებამ თურქულ ლიტერატურაში რადიკალურად შეცვალა ტრადიციული რეალისტური, ლიტერატურის ყველა ძირეული პარამეტრი. თურქი მკვლევარები ერთხმად აღიარებდნენ, რომ თურქულ ლიტერატურაში პოსტმოდერნიზმი დასავლეთიდან შემოვიდა, მაგრამ დასავლეთის მსგავსად ის მაშინვე პოპულარული და მასობრივი ვერ გახდა.

თურქული პოსტმოდერნიზმი მსოფლიო პოსტმოდერნიზმის მსგავსად წარმოდგენილია სხვადასხვა მოდიფიკაციებით: ნარატიული, ლირიკული, მელანქოლიური, შიზოანალიტიკური.

თურქული ლიტერატურული პოსტმოდერნიზმის იყოფა ორ „ტალღად“.

პოსტმოდერნიზმი 2000-იან წლებში თურქეთის კულტურული ცხოვრების გაბატონებულ ტენდენციად იქცა. აღსანიშნავია რომ, თუ 1980-იანი წლების პოსტმოდერნულ პროზაში გამოირჩეოდა „ლირიკული ნაკადის“ დომინირება, 1990-იან და 2000-იან წლებში დომინანტური ტენდენცია წარმოდგენილი იყო ნარატიული მოდიფიკაციით.

პირველი „ტალღის“ პოსტმოდერნისტი მწერლების წყალობით, თურქულ ლიტერატურაში ყალიბდება ახალი მხატვრული აზროვნება, რომელიც დაფუძნებულია ჭეშმარიტების მრავალჯერად გაგებასთან. რუსი მკვლევრის მარია რეპენკოვას აზრით, თურქი პოსტმოდერნისტი მწერლები მათი დასავლელი „კოლეგების" მსგავსად, მეტწილად ეკლექტიკური და წინააღმდეგობრივი პოსტფილოსოფიური პოზიციების განხორციელებისას, ვერ გაექცნენ პრეფიქსის „პოსტის“ ძალას, ანუ ისინი დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ სტრუქტურალისტურ და ფროიდის პრინციპებზე. მათ ნამუშევრებში სტრუქტურის „დამტვრევით“ შექმნეს ანტისტრუქტურა (რიზომა), რომელიც არანაკლებ სტერეოტიპული და სტრუქტურირებულია, ვიდრე სტრუქტურალისტური პოზიციები, რომლებსაც ადრე აკრიტიკებდნენ. „მათ კვარცხლბეკზე აღმართეს სხვა ჭეშმარიტება - სიმულაკრის ჭეშმარიტება (ნიშანი ემანსიპირებული აღმნიშვნელით) [5:73].

პირველი თურქი პოსტმოდერნისტების შემოქმედება განასახიერებდა ქვეყნის ანალიტიკური აზროვნებისთვის აქამდე უცნობ პოსტფილოსოფიურ ცნებებს: ანტი(ფალ)ლოგოცენტრული, შიზოანალიტიკური, პოსტისტორიული, პოსტჰუმანისტური და სხვა, რამაც პოსტმოდერნისტ მწერლებს საშუალება მისცა, თავიანთი წვლილი შეეტანათ პოსტმოდერნის ეპოქის „მასის ადამიანის“ შესწავლაში. შიზოანალიზის საშუალებით მათ მოახერხეს ზოგადად ადამიანის არქეტიპის და კერძოდ, თურქული ეროვნული არქეტიპის ნეგატიური პოტენციალის გამოვლენა, თურქეთის ეროვნული ხასიათის იდეის გაღრმავება.

დასავლეთში, უპირატესად XX სს. 70-იან წლებიდან ლიტერატურულ პროცესებში ფეხს იკიდებს რომანის ახალი ტიპი, ე. წ. პოსტმოდერნისტული რომანი, რომელიც რომანის ჟანრის ისტორიაში სრულიად ახალ ეტაპს ქმნის და რომელიც პრინციპულად უპირისპირდება პოეტოლოგიური და იდეურ -მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, ერთი მხრივ ტრადიციულ (განმანათლებლური, რეალისტური) და მეორე მხრივ, არატრადიციული (რომანტიკული, მოდერნისტული) რომანის ტიპს [1:89].

რომანი არის პროდუქტი იმ პერიოდის სოციალური რეალობისა, რომელშიც ის დაიწერა, „ისტორიული მომენტი“ განსაზღვრავს რომანს, როგორც კონტექსტურად, ისე ფორმალურად.

„ისტორიული მომენტი“, რომელმაც დასაბამი მისცა პოსტმოდერნულ რომანს, არის პოსტმოდერნული ეპოქის მიერ შექმნილი რეალობის გაგება. პოსტმოდერნულ ეპოქაში რეალობა სხვა არაფერია, თუ არა ინტერპრეტაცია. ეს არის რეალობის ახალი გაგება, რომელშიც მაკრო თეორიები ჩანაცვლებულია მიკრო თეორიებით, ჭეშმარიტების გაგება

ფრაგმენტირებულია, რაციონალური სუბიექტი უარყოფილია და სინგულარული აზრები ჩანაცვლებულია მრავლობითობით. პოსტმოდერნული რომანი კი ამ ახალი რეალობის პროდუქტია, მისი ასახვაა ლიტერატურის სფეროში.

იჰაბ ჰასანის აზრით, პოსტმოდერნული ლიტერატურა დასავლურ საზოგადოებაში გაჩენილი ცვლილებების შედეგია. ჰასანის აზრით, ახალი ლიტერატურა ჩნდება, როგორც პასუხი სამყაროში მომხდარ ცვლილებებზე.

პოსტმოდერნულირ რომანი პლურალიზმს ესთეტიკურ პრინციპად იღებს. თურქი მკვლევარი ილდიზ ეჯევითის განმარტებით „პლურალიზმი პოსტმოდერნიზმის მთავარი ტენდენციაა, როგორც ცხოვრებაში, ასევე ხელოვნებაში. „პლურალიზმი პოსტმოდერნიზმის ერთადერთი ფილოსოფიაა; ეს არის ცხოვრების წესის, რომელშიც გვერდიგვერდ/ერთდროულად არსებობს მეცნიერება და ეზოთერიზმი, ტექნოლოგია და მითი, ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა და არასოციალური მარგინალობა.

პოსტმოდერნული ხელოვნება ეკლექტიკური/პლურალისტური სტრუქტურაა. ეს არის სტრუქტურის, სადაც სხვადასხვა სტილი (რეალისტური, მოდერნისტული თუ პოსტმოდერნისტული) შეიძლება გაერთიანდეს, მხატვრული პრინციპები იგნორირებულია ჰოლისტიკური გაგებით და საზღვრებიც კი აღმოიფხვრა მხატვრულ და არამხატვრულ ლიტერატურას შორის. ისეთ გარემოში, სადაც არ არსებობს ზოგადი ესთეტიკური პრინციპები, ყველას შეუძლია შექმნას საკუთარი სტილი კრეატიულობიდან გამომდინარე. ზოგიერთი მწერალი აერთიანებს სხვადასხვა ჟანრს, ზოგი მწერალი იყენებს კონტრასტებსა და წინააღმდეგობებს ერთმანეთის გვერდით, პოსტმოდერნულ რომანს შეუძლია ტექსტის მნიშვნელობის გაზრდა მრავალჯერადი/ალტერნატიული კითხვით [12: 66].

პოსტმოდერნიზმმა, უარყო განმანათლებლობის ეპოქის დისკურსი, უნივერსალური გონების ნაცვლად იქადაგა მრავალჯერადი გაგება, პლურალიზმი და პლურალისტური პერსპექტივა.

უმბერტო ეკოს შეხედულებით პოსტმოდერნულ ტექსტს ახასიათებს ღიაობა ის ღიაა ენობრივი თამაშებისათვის. მრავალშრიანი ღრმა სტრუქტურის გამო ყოველგვარი ინტერპრეტაციისთვის. პოსტმოდერნისტულ ტექსტს ახასიათებს არათანამიმდევრული თხრობა, დარღვეულია მოქმედებათა ლოგიკური ჯაჭვი. დასაშვებია ტექსტის დაშლა, ფრაგმენტაცია, დანაწევრება, შეერთება. ტექსტის ფრაგმენტაცია პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ხერხია. მას ახასიათებს ფრაგმენტირებულ დისკურსი.

მიუხედავად მწირი თეორიული ცოდნისა თურქმა ლიტერატურათმცოდნეებმა შეძლეს და განსაზღვრეს თურქული პოსტმოდერნისტული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნები, ესენია: ინტერტექსტუალობა, პლურალიზმი, ავტორის თამაში, ირონია.

მკვლევარ ილდიზ ეჯევითს ტერმინი „ინტერტექსტუალურობა“ შემდეგნაირად ესმის: „თანამედროვე მწერალი, რომელსაც არ შეუძლია ადეკვატურად ასახოს თავის ნაწარმოებში საკუთარ აზრები მის გარშემო არსებულ სამყაროზე, რამდენადაც ეს სამყარო უფრო და უფრო აუხსნელი ხდება, ურჩევნია მიმართოს სხვის აზრს, გამოცდილებას, ე.ი. წინა ლიტერატურული ტრადიციებზე შექმნილ ნაწარმოებებს“ (ეჯევითი 2006:70). ამგვარად მყარდება კავშირი ტექსტებს შორის.

თურქული პოსტმოდერნული ლიტერატურა ძირითადად იდენტიფიცირებულია ორჰან ფამუქის ნაწარმოებებთან. თურქული საზოგადოება პოსტმოდერნისტულ რომანს და პოსტმოდერნულ მსოფლმხედველობას პირველად გაეცნო 1985 წელს გამოცემული ორჰან ფამუქის რომანით „თეთრი ციხე-სიმაგრე“.

სხვა ადამიანების იდეებით შთაგონებული პოსტმოდერნისტი მწერალი იწყებს თამაშს მკითხველთან და სთავაზობს მას გამოიცნოს რომელ ტექსტებზე მიუთითებს თავის რომანში. ის ახერხებს „წინამორბედების“ (ტექსტის) უკან დამალვას ისე, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ნაწარმოებს ავტორი საერთოდ არ ჰყავს და ნაწარმოები თავისთავად იქმნება. ილდიზ ეჯევითის აზრით ავტორის თამაში „დამალვა“ წარმოადგენს პოსტმოდერნული ნარატივის არსს.

პოსტმოდერნისტული რეალიზმი უარყოფს რეალისტურ ტრადიციას, რადგან იგი აღარ მოგვითხრობს სიმართლეს სამყაროს შესახებ, ტექსტში აღწერილი ფაქტები არ არის ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება ის ფაქტებია, რომელიც მკითხველმა უნდა იპოვნის, და აღმოაჩინოს ყველა ეს მცდელობა. ეს არის მკითხველის მიერ ტექსტის წაკითხვის გზა.

პოსტმოდერნიზმის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს დეკონსტრუქცია წარმოადგენს. დეკონსტრუქცია არღვევს ტექსტის სტრუქტურულად აწყობილ ქსოვილს, რღვევა კი მთლიანობის დაშლას, დანაწევრებას იწვევს. დერიდა უარყოფდა ტექსტების მიმართ ძველ მიდგომებს და ემხრობოდა ტექსტის გარდაქმნას, დეკონსტრუქციას, რათა თავიდან შეექმნა ახალი ტექსტი. მისი აზრით, ნებისმიერ ტესტს შეიძლება ჰქონდეს მრავალი მნიშვნელობა და იგი იყოს ამბივალენტური. მისივე თეორიის მიხედვით, დეკონსტრუქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოააშკარაოს ტექსტის შინაგანი წინააღმდეგობა და გამოავლინოს მისი ფარული „ნარჩენი საზრისები“. დეკონსტრუქციის მიზანია ერთიანობის დაშლის შედეგად დავინახოთ მთლიანობის არსი, ვინაიდან ტექსტის უკეთ შესაცნობად საჭიროა მისი გაშიფვრა, ანალიზი. შესაბამისად, დეკონსტრუქცია გულისხმობს ტექსტის „გულმოდგინედ წაკითხვას“. ჟ. დერიდასთვის პირველ ადგილზე დგას ტექსტი, რომლის გარეშეც არაფერი არ არსებობს. სამყარო კონსტრუირდება როგორც ტექსტი; ადამიანის ცნობიერება კი არის ტექსტის სასრული რაოდენობა. იგი ურთიერთობაში შედის სხვა ცნობიერებებთან, როგორც ტექსტებთან და სამყაროსთან, როგორც უსასრულო ტექსტთან [4:47].

„პოსტმოდერნულ რომანთან ერთად, მხატვრული თვისებები (როგორიცაა დრო, ადგილი, სივრცე, ენობრივ სტილის გმირი, მთხრობელი), რომლებიც რომანის ფორმალურ სტრუქტურას ჰქმნიან, გაფართოვდა მეტაფიქციისა და ინტერტექსტუალურობის ტექნიკით. ეს ტექნიკა არის ძირითადი მეთოდები, რომლებიც ქმნიან პოსტმოდერნული რომანის გამოგონილ სამყაროს. თუმცა, ეს არ არის მხოლოდ პოსტმოდერნული რომანის სპეციფიკური ტექნიკა. ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეტაფიქცია პოსტმოდერნული ლიტერატურის მთავარი მხატვრული ელემენტია. ზოგადად, ეს ტენდენცია ნიშნავს, რომ წერის აქტი ფიქციალიზებულია მხატვრული ტექსტის ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ ავტორი ყვება, თუ როგორ დაწერა თავისი ტექსტი ამ ტექსტში, წერის პრობლემებს აქცევს ტექსტის მთავარ საგანად და ზოგჯერ მკითხველს ათავსებს ტექსტში და უზიარებს მას, თუ როგორ შექმნა რომანი; მეტაფიქცია არის ლიტერატურის თვითგამოხატვა და მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული ლიტერატურაზე [12:110]მეორე მხრივ, შესაძლებელია მეტაფიქცია შეფასდეს, როგორც ხელოვნებასა და ყოველდღიურ ცხოვრებას შორის საზღვრის დაბინდვა, ელიტარულ კულტურასა და პოპულარულ კულტურას შორის იერარქიული განსხვავების კოლაფსი, კომპილაციის აღზევება, კოდების აღრევა და თამაში. პოსტმოდერნული რომანი, რომელიც ვითარდება და ვითარდება ტრივიალურ, კარნავალურ ატმოსფეროში, შეიძლება შეფასდეს, როგორც „არასერიოზული, უსარგებლო, მხიარული“. მაგრამ ეს ატრიბუტები უკვე პოსტმოდერნული რომანის ტექნიკაა.

მეტაფიქციური ტექნიკის გამოყენებისას გამოგონილი სამყარო თავისთავად რეალობის ველად გვევლინება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქმნება რეალობის ახალი სფერო, სადაც წაშლილია საზღვარი ფიქციასა და რეალობას შორის.

ინტერტექსტუალურობის ტექნიკა, ისევე როგორც მეტაფიქცია, არ არის პოსტმოდერნული რომანის უნიკალური ტექნიკა. ეს ტექნიკა ასევე გამოიყენება რეფლექსიურ და მოდერნისტულ რომანებში. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები ამ რომანების პერსპექტივებს შორის ინტერტექსტუალურობის ტექნიკასთან დაკავშირებით.

პოსტმოდერნულ რომანში ინტერტექსტუალურობის ტექნიკა გამოიყენება ორი ძირითადი გზით, პაროდიისა და პასტიშის. პაროდია, რომლის წარმომავლობაც არისტოტელემდე მიდის, არის ტექნიკა, რომლის დროსაც რეფერენტული ტექსტის საგანი/შინაარსი გარდაიქმნება სხვა ტექსტის მიბაძვით. რომელიც მისაბაძი საგნის სატირულ იმიტაციას გულისხმობს. პოსტმოდერნულ რომანში პაროდიის გამოყენება განსხვავდება მისი ადრინდელი გამოყენებისგან. პაროდია პოსტმოდერნულ რომანში რთულ წესრიგს გამოხატავს. მას აქვს ორმაგი კოდის ორიენტაცია, სადაც ძველი და თანამედროვე ერთმანეთს ერწყმის პოსტმოდერნიზმი ყველაზე კარგად შეიძლება გავიგოთ პაროდიების საშუალებით.

ინტერტექსტუალურ პრაქტიკაში კიდევ ერთი ცნობილი მეთოდია პასტიში. პოსტმოდერნულ რომანში პასტიში გამოიყენება, როგორც სტილის იმიტაცია. პასტიში, მიზნად ისახავს ტექსტის დაწერას იმიტაციით და არა მაგალითების გარდაქმნის გზით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორი წერს ახალ ტექსტს სხვა ტექსტის ენობრივი და გამომსახველობითი თავისებურებების მიბაძვით და სხვა ავტორის სტილის მიღებით, თითქოს ის საკუთარი იყოს. მას შეუძლია არა მხოლოდ სტილის მიბაძვა, არამედ ახალი ტექსტის შექმნა ორიგინალური ტექსტის შინაარსის საკუთარ ტექსტთან მორგებით [7:133].

პოსტმოდერნულმა რომანმა შეცვალა დრო სივრცული გაგება. მასში არ არის დომინანტური დროის ხაზოვანი სქემები და მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე დაფუძნებული ფიქცია, პოსტმოდერნულ რომანში დრო არ მიდის სწორი ხაზით, დროის მოდერნისტული გაგების მსგავსად. დრო არ არის ის, რაც არსებობს ინდივიდის გარეთ და არის უწყვეტი. დროის გარეგანი სამყაროს გაგება და დროის ინდივიდუალური აღქმა ერთმანეთისგან განსხვავდება {11:318]. პოსტმოდერნულ ტექსტებში დრო ყოველთვის მიმდინარეობს ახლანდელობის უწყვეტი თანმიმდევრობით და წარსული და მომავალი აწმყოშია ჩაფლული. მეტიც, გარდა კალენდარული დროისა, არსებობს დროის გამოგონილი გაგება.

პოსტმოდერნულ ტექსტებში სივრცის პოსტმოდერნული გაგება არის არა ობიექტური, არამედ გონებრივი და ლიტერატურული კონცეფცია, შესაბამისად, ის მოქნილია. ეს არის აბსტრაქტული სტრუქტურა, რომელიც იძლევა ყველა სახის შესაძლებლობის საშუალებას. გარდა რეალისტური სივრცეებისა, არის ადგილებიც ფანტასტიკური მახასიათებლებით, სადაც შესაძლებელია ყველანაირი საქმის კეთება და ფიზიკური წესების იგნორირება. ყოფიერების გაგების ცვლილებასთან ერთად იცვლება ადამიანის ადგილი სოციალურ წესრიგში, ასევე იცვლება პერსონაჟის შექმნის ფორმებიც და ასახვის გზაც ლიტერატურულ ნაწარმოებებში. პერსონაჟი, რომელიც რეალისტური და მოდერნისტული რომანების მნიშვნელოვანი მხატვრული ელემენტია, პოსტმოდერნულ რომანში კარგავს ამ მნიშვნელობას. პოსტმოდერნულ რომანთან ერთად, პერსონაჟი გადაიქცა ანტიპერსონაჟად, რომელშიც პერსონაჟის მთლიანობა საკამათო ხდება.

პოსტმოდერნული ნარატივის მთავარი გმირს არ გააჩნია კონკრეტული იდენტობა, ის აგრძელებს ტრანსფორმაციას ერთი ფიგურიდან მეორეში. პოსტმოდერნულ რომანებში, სადაც

დომინირებს მეტაფიქცია, სიუჟეტი არ ყალიბდება ცნობილი წესების მიხედვით. „სიუჟეტის “ ელემენტმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა პოსტმოდერნულ რომანებში. პოსტმოდერნულ რომანს არ ახასიათებს ხაზოვანი, უწყვეტი სიუჟეტი. რომანში შექმნილი გათიშვა და უწყვეტობა არის პროცესი, რომლის აღქმას და დასრულებას სთხოვენ მკითხველს. ამგვარად, მკითხველი დაქუცმაცებული რეალიებიდან შექმნის კანონზომიერებას, სუბიექტურ რეალობას.

სწორედ მეტაფიქციური და ინტერტექსტუალურობის ტექნიკა ხდის სიუჟეტს დეცენტრალიზებულს და ასუსტებს კავშირებს მოვლენებს შორის. სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის არტიკულაცია ინტერტექსტუალურობის ტექნიკით იწვევს დაშლის ეფექტს ტექსტის სიუჟეტზე.

შეგვიზლია ვთქვათ, რომ პოსტმოდერნიზმის მხატვრული გამომსახველობისათვის დამახასიათებელია ტრადიციული ნარატიული სტრუქტურების უარყოფა, სუბიექტურობისა და ფრაგმენტაციის ხაზგასმა, გრანდიოზული ნარატივების და ობიექტური ჭეშმარიტების მიმართ სკეპტიციზმი.

პოსტმოდერნული ლიტერატურა დაუპირისპირდა ფიქსირებული რეალობის იდეას, ხაზს უსვამს ენის კონსტრუქციულ ბუნებას და კულტურული მეხსიერების როლს ინდივიდუალური და კოლექტიური გამოცდილების ჩამოყალიბებაში. ის უყოყმანოდ იყენებს ყველა მიმდინარეობას, სტილს. ადვილად შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს ყველაზე შეუსაბამო ჟანრები და სტილები.

დასასრულ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თურქული პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: ინტერტექსტუალობა, პლურალიზმი, ავტორის თამაში, ირონია, ფრაგმენტაცია, მეტაფიქცია, ინტერტექსტუალურობის კონტექსტში გამოიყენება რეფერენციის, პასტიშის, პაროდიის, ირონიისა და კოლაჟის ტექნიკა. პოსტმოდერნისტ მწერალთა პირველი პლეადის წყალობით თურქულ ლიტერატურაში დამკვიდრდა ახალი მხატვრული აზროვნება, ახალი ფილოსოფოა, ახალი ესთეტიკა და ახალი ენა, მათ ჩაუყარეს საფუძველი ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელიც 2000-იან წლებში იქცა მთავარ ნაციონალურ მხატვრულ პროცესად.

პოსტმოდერნულ რომანში ინტერტექსტუალობის წყალობით შესაძლებელი ხდება მთელი მსოფლიო ლიტერატურის გამოცდილების ციტირება. რომანი პოსტმოდერნისტული ესთეტიკის მუზეუმი ხდება.

ლიტერატურა:

1. ბრეგაძე ლ. „პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში“, გამომცემლობა არტანუჯი“, თბილისი, 2020 წ.

2. ბრეგაძე კ. ,,პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკა“. თბილისი, 2018 წ.

3. ბრეგაძე კ. პოსტ. რომანის პოეტიკა , თბილისი, 2018 წ.

4. მირცულავა ლ. „პოსტმოდერნიზმი“, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2015 წ.

5. რეპენკოვა „მბრუნავი სარკე“, 2010 წ.

6. Бахтин М. Вопросы литературы и эстетики. Москва, 1975 г.

7. Aktulum, Kubilay (2000). Metinlerarası İlişkiler. Ankara: Öteki Yay.

8. Aytaç, Gürsel (1995). Edebiyat yazıları-III. Ankara: Gündoğan Yay

9. Aytaç, Gürsel (1999b). Genel Edebiyat Bilimi. İstanbul: Papirüs Yay.

10. Doltaş, Dilek (1996).“Türk Yazınında Postmodernizm I”. Varlık, S.1070.

11. Eagleton, Terry (2014). Edebiyat Kuramı Giriş. İstanbul:Ayrıntı Yay.

12. Ecevit, Yıldız (15.12.2006). “Pamuk: Bir Kurgu Ustası”, Sabah Gazetesi Pazar Eki.

13. Ecevit, Yıldız (2001). Türk Romanında Postmodernist Açılımlar. İstanbul: İletişim Yay.

Maka Susareishvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Resume of some issues of the poetics of the Turkish postmodernist novel

Abstract

In the article it is discussed postmodernism as a cultural-aesthetic style in Turkish literature, which was discussed relatively late, in the 80s of the 20th century. At first it was talked about as a novelty in Turkish literature and it was also called late avant-gardism. For Turkish readers accustomed to classical writing, the postmodernist work, characterized by a decentralized and fragmented structure, turned out to be difficult to understand, but with the passage of time, the reader's attitude also changed.

The Turkish novel was created during the Tanzimat period under the influence of the European, in particular, the French novel. Obviously, the understanding of the novel of this period in Turkish literature has some shortcomings in terms of technique, content and style. However, it can be said that it was these first attempts that laid the foundation for the establishment of a true novel genre in Turkish literature. The Turkish novel reached its true identity, the perfection of the novel technique during the literature of Serveti Fünun. In the years 1900-2000, there is a change of artistic values in the Turkish (novel).

Since the 80s of the twentieth century, the Turkish postmodernist novel has become part of the world postmodernist literature. In this way, the research of the Turkish postmodernist novel, its universal and specific features in the global literary context becomes relevant.